შაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 23 (6) № 209 — წლიწადი მესამე
შაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 23 (6) № 209 — ფასი 15 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

ხელნაწერი მოკლედ უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ იბეჭდება. დაუბეჭდავი ხელნაწერი არ ინახება და არ ბრუნდება.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდე, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 3 მან. ცალი № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე 30 კაპ. საქორწილო და სამგლოვიარო განცხადებანი ფასი ორჯერ მეტია. სამეცნიერო განცხადება ... 16×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. ... 75 კაპ. ... კორესპონდენცია უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საქალაქო განცხადებანი უნდა წარდგენილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე შესწორებების კენჭი ყრის შემდეგ მთლად უარყვეს კოალიციის ფორმულა.

თათბირი არ დაიშლება ვიდრე არ შეთანხმდება და გადასწყვეტს მთავრობის საორგანიზაციო პირობებს დემოკრატიისათვის მისაღებ ფორმაში.

თათბირის პრეზიდიუმი დროებით მთავრობასთან თათბირობს.

დონის ყაზახებმა ამბოხების ჩასაქრობად თურქესტანში წასვლაზე უარი განაცხადეს.

ყაზახთა ორი დივიზია დონზე სდგას ოჯახობის დასაცველად.

თურქესტანში ამბოხება ცხრება.

ბალტიის ფლოტი ჰელსინგფორსის დათხოვნილ ცენტრს უჭერს მხარს.

პაპა აცხადებს: გერმანეთი ბელგიას და ჩრდილო-საფრანგეთს დასცლის, თუ საზავო მოლაპარაკება დაიწყებაო.

ოდესას სცლიან.

მთიელთა დივიზია კავკასიაში დაბრუნდეს.

ბაქო იწვის.

რუსეთში რკინის გზათა საყოველთაო გაფიცვა იწყება.

ფინლიანდიის სეიმის არჩევნებში სოციალისტებმა ნაკლები ხმა მიიღეს ვიდრე არა სოციალისტებმა.

### წერილები

მეთაური. დემოკრატიული თათბირის გაკოტრება.
გერონტი ქიქოძე. ქართული ჯარი.

ნ. დურნოვოს წერილი ყოფილ ეგზარხოსის მიმართ.
მ. იშხნელი. ქართველი გლეხ-კაცი.
კორესპონდენცია. ახალციხიდან.

ქალაქთა წარმომადგენლების თათბირი.
წესი კათალიკოზის მოხსენებისა.
„საქართველოს“ ფონდისათვის.
ქრონიკული საპედაგოგიო საბჭოს სხდომა.

გაზეთ „საქართველოს“
**კონტორისაგან**
**რადგანაც დღითი-დღე სიძვირე**
მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ,
**გაზეთის თითო ნომერი ღირს 15 კაპ.**

წლიური ხელის მომწერლებმა ხელახ მოწერის ფასი უნდა შეასრულონ 21 მანეთამდე, რომელიც უნდა გადახდილ იყოს 15 ენკენისთვემდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობა. 1 ენკენისთვიდან გაზეთის ფასი იქნება თვეში 3 მან.

ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ გთხოვთ ფულის გამოგზავნის დროს ბანდეროლის ნომრის აღნიშვნას.

**ექიმი**
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 41
თ—719—19

**ექიმი**
**მ. ი. [illegible]**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] ქ. № [illegible] (თ.—202—)

**თბილისის პოლიტეხნიკუმის**
**სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის**
**ქართველ სტუდენტებს**
დაბეჯითებით ვსთხოვთ მოგროვდნენ კვირას, სექტემბრის 24-ს ქართულ გიმნაზიის შენობაში
**საორგანიზაციო საკითხებზე მოსალაპარაკებლად**
ქართ. სტუდ. ჯგუფი
1—799—1

**თბილ. ქართულ გიმნაზიის შენობაში (ვერაზე)**
გაიხსნა ახალი ქართული
**ქალ-ვაჟთა გიმნაზია**
რუსთაველის სახელობისა
**მოწაფეთათვის სრულ უფლებიანი.**
თხოვნები მიიღება ყოველ დღე. მისაღები გამოცდები სწარმოებს საანბანო, I და II განყოფილებაში. სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს.
დამაარსებელნი მასწავლებელთა ამხანაგობა.
3—774—2

**ექიმის თანაშემწე**
**ვანო სააკაშვილი**
ღებულობს ავადმყოფებს ხად. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებობით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).
23—748—თ.

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

**ექიმი**
**ა. დ. კეკელია**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ბთაშინგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—25)

**სამკურნალო კაბინეთი**
**პ. ს.**
**ფონ-ირტელისა**
ქირურგიულ-ვენერულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილისით და $4^{1}/_{2}$—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.

**თბილისი, ენკენისთვის 23.**

## დემოკრატიულ თათბირის გაკოტრება

რუსეთის დემოკრატიული თათბირი გაკოტრდა: ჯერ იგი ორად გაიყო, როცა მთავრობის შედგენის წესს იღებდა და კოალიციის წინადადება მხოლოდ მცირე უმრავლესობით დადასტურდა. ახლა ეს მცირე უმრავლესობაც მოისპო, რადგან უკვე მიღებულ წინადადებას თან ისეთი შესწორებანი დაუმატეს, რომ თათბირის ორივე ფრთა შეერთდა და გააშავა მთელი ფორმულა: მემარცხენენი მიტომ მოიქცნენ ასე, რომ საერთოდ წინააღმდეგნი იყვნენ ბურჟუაზიასთან შეთანხმებისა და კოალიციურ მთავრობისა, მემარჯვენენი კი ნამდვილ კოალიციას ითხოვდნენ, კადეტების მონაწილეობით, და ამიტომ უკადეტო კოალიცია ცილის უმრავლესობით გააშავდა...

რუსეთის დემოკრატიის ბელადთა კვლავ ქართველი გამოდის: ირ. წერეთელი, რომლის ჰკუა-მახვილ წინადადებით დემოკრატიულ თათბირს დაუდგენია, არ დაიშალოს, სანამ თვით დემოკრატიის შორის არ მოხდება შეთანხმება და ამგვარად არ ჩაეყრება საძირკველი მთავრობის ორგანიზაციასო.

ჩვენ არ ვიცით როდემდის დასჭირდებათ თათბირი პეტროგრადის დეპუტატებს, რომ მათი შინაური განხეთქილება მოისპოს. უფრო მოსალოდნელი ის არის, რომ სოციალისტური პარტიების განხეთქილებაც ისეთ მტკიცე ხასიათს მიიღებს, როგორიც არის დღეს რუსეთის ბურჟუაზიისა და სოციალისტების განხეთქილება.

ბოლოს და ბოლოს რუსეთი როგორც ჩანს ვერ ასცილდება საფრანგეთის დიდი რევოლუციის გზას... პეტროგრადის რევოლუციური პროლეტარიატი და არმია კრონშტადტის რევოლუციურ ფლოტთან ერთად ხვალ თუ ზეგ ბოლშევიკებისგან შემდგარ სოციალისტურ მთავრობას გააბატონებს პეტროგრადში.

ეს იქნება უმაღლესი და უმარცხენესი წერტილი რუსეთის რევოლუციისა და თუ რა მოჰყვება ამ წერტილს, ამას იგივე საფრანგეთის რევოლუცია ამბობს, რომელსაც ჰბადავენ რუსეთის შინ გაზრდილნი რობესპიერები და მარატები.

მაგრამ რუსეთი ხომ საფრანგეთი არ არის, რომ ეს ამბები ევროპიულად გაიტანოს.

გარეშე მტერი არ სცხრება. პეტროგრადის თათბირის დასრულებას იგივე რიგი მოჰყვება, როგორიც მოსკოვისას... გერმანელები უკვე მზად არიან ამისათვის: ფინლიანდიითაც და შავი ზღვითაც.. ამავე დროს გერმანეთი უკვე ურიგდება საფრანგეთს და მზად არის ზავისათვის ბელგიის დასცლის... არა გვგონია, რომ საფრანგეთმა გაუძლოს ასეთს საცთურს...

ომისა და რევოლუციის შედეგი ირკვევა: ომი რუსეთს ამარცხებს, რევოლუცია კი რუსეთის პროლეტარიატს... დამარცხება კი როგორც ომში, ისე რევოლუციაში სასტიკ დამარცხებას ნიშნავს...

ქართული დემოკრატია მოვალეა სათანადო ანგარიში გაუწიოს რუსეთის მწარე გამოცდას და პატარა კულტურულ საქართველოს მაინც აარიდოს ის შინაური და გარეგანი განსაცდელი რომლისგან ვერც ჩხეიძემ და ვერც წერეთელმა ვერ იხსნეს უზარმაზარი, მაგრამ შეუსმენელი რუსეთი.

## ქართული ჯარი

პეტროგრადიდან მიღებული ცნობების მიხედვით დროებითმა მთავრობამ ნება დართო, რომ შედგენილ იქმნას ქართული ეროვნული ჯარი იმ ნაწილებისაგან, რომელიც დღეს სხვა და სხვა ადგილას არის გაბნეული. ქართველ ხალხში ეს განკარგულება გულწრფელს სიხარულს გამოიწვევს. სკოლის ნაციონალიზაციისა და საეკლესიო თვითმწყსობის მოპოების შემდეგ, ეს ერთი მტკიცე ნაბიჯია, რომელსაც ჩვენი სამშობლო ეროვნული თვითმართველობისაკენ სდგამს. თავისი რეალური მნიშვნელობით ეს მესამე ნაბიჯი კიდეც სჭარბობს პირველ ორს: განსაკუთრებით დღევანდელ უჩვეულო პირობებში.

დიდმა ომმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა ის ძველი ჭეშმარიტება, რომ სუსტს ყოველთვის საფრთხე მოელის ძლიერისაგან, რომ ადამიანურ საზოგადოებაში თავის დასაცავად სხვა საშუალება არ არსებობს გარდა რეალური ძალისა. ამას დღეს თითქმის ყველა სცნობს. მხოლოდ ყველას გამბედაობა არ შესწევს ითხმოცდაცამეტ გერმანელ მეცნიერისა, ლიტერატორისა და ხელოვანის მსგავსად თანამედროვე კულტურისა და ეროვნული ჯარის მჭიდრო ურთიერთობა აღიაროს. „ჯარი რომ არ გვყოლოდა, ჩვენი ცივილიზაცია დიდი ხანია განადგურებული იქნებოდაო, განაცხადეს გერმანელმა ინტელიგენტებმა. კულტურის დასაცავად დაიბადა მილიტარიზმი ჩვენს სამშობლოში, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ახალ-ახალი შემოსევის საფრთხე მოელის. ჩვენი ხალხი და ჩვენი ჯარი ერთი და იგივეა“.

თუ ამას ამბობს დიდი გერმანია, რაღა უნდა სთქვას პატარა საქართველომ? ჩვენი სამშობლო ხომ შარა გზის პირათაა, ამ გზას მუდმივი მცველი სჭირია, რომ ყოველმა ვიგინდარამ არ გადალახოს. ბოლო დროს კი საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ როცა ქართველებისგან შემდგარი რაზმები ვარშავის და რიგის სიმაგრეებს იცავდნენ, ქვემო აჭარისა და ლივანის დაბურნიან ველებს მაროდიორები სთელავდნენ, ხოლო კახეთისა და ხევსურეთის სოფლებს მთიელი ყაჩაღები აწიოკებდნენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთს თავხედობას ბოლო მოეღება როცა ქართული კერის ახლო ქართველი შეიარაღებული ჯარისკაცი იდგომება.

მილიტარიზმის იდეოლოგები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე ჯარი გრანაირი სკოლაა, სადაც ადამიანი ნებისყოფის სიმტკიცეს იძენს და სოლიდარობისა და თავგანწირვის გრძნობას ეჩვევა. რუსის ყაზარმა კი დღემდე უფრო ქართველი ჯარისკაცის დაავადებას უწყობდა ხელს, ვიდრე აღზრდას. სუსხიანი რუსეთის ფიზიკური და ზნეობრივი ატმოსფერო სრულიად შეუფერებელი იყო ქართველი ახალგაზრდობისათვის და ჩვენს ჯარისკაცს სამხედრო სამსახურიდან არაფერი მოჰქონდა გარდა გაცვეთილი ფარაჯისა, ჭლექისა და ათაშანგისა.

ქართული ეროვნული ჯარის შედგენას დიდი ზნეობრივი დირებულებაც აქვს უეჭველია. ქართველ მდაბიო ხალხს უ ულმართი წარმოდგენა აქვს ეროვნული თვითმართველობის შესახებ. მას თვითმართველობა ხშირად უკან დამხევი მოვლენა ჰგონია. ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ საქართველოს ავტონომიის იდეა აქამდე აბსტრაქციის სფეროში არსებობდა და ხალხს არ შეეძლო მისი შეხება ან კონკრეტულად წარმოდგენა. ეროვნული სკოლისა და ეროვნული ჯარის შემწეობით ქართველი ხალხი ავტონომიური დაწესებულების სიყვარულს ისწავლის. ის თავის საკუთარი ორი თვალით დაინახავს, რომ ეროვნული თვითმართველობა არ არის არც მონობა, არც ბატონყმობა, არამედ სწორედ მათი უარყოფა. და ამ გამოცდილების მიხედვით გამოიტანს დასკვნას, რომელიც მის გონებას ვერ გააქუჩებს ვერავითარი იდეიური პროპაგანდამ.

გერონტი ქიქოძე.

# ომი და ზავი

## დეპეშები

### აღმოსავლეთის ფრონტი.

**რუსეთის შტაბის ცნობა.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 20. ოფიციალი. ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტებზე სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი არა მომხდარა.

**ბალტიის ზღვა.** ენკენისთვის 18 ღამით კუნძულ ეზელზე მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს, რასაც სამხრ მასალების ერთი საწყობის აფეთქება მოჰყვა. თავგანწირულებით შეუდგნენ ცეცხლის ქრობას. ცეცხლის ქრობის დროს, დაიღუპა რამდენიმე აფიცერი და მეზღვაური. ამის საპასუხოდ კურლიანდიის სანაპიროებზე მტრის რამდენიმე ადგილას ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს. ენკენისთვის 18 შუა დღისას ირბენის სრუტეში გერმანელთა ნაღმის ამომკრები გემები გამოჩნდნენ, რომლებიც შორს მსროლელი ზარბაზნებით გავდევნეთ. ჩვენმა მფრინავებმა ხელი შეუშალეს მტრის საფრენებს მიახლოვებოდნენ კუნძულ ეზელს.

**მფრინავთა მოქმედება.** ენკენისთვის 18 სამხ. დასავ. ფრონტზე ჰაერში სამჯერ მოხდა ბრძოლა. გურიატინის ჩრდ. დასავ. სოფ. ხეროსტაკოვში ჩვენმა „მურომცებმა“ ყუმბარები ჩამოჰყარეს.

**პეტროგრადი.** ენკენ. 21. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** იაკობშტადტის მიმართ საარტილერიო ბრძოლა მძაფრ ხასიათს იღებს. დანარჩენ ასპარეზზე სროლაა და მზვერავთა მოქმედებაა.

**დასავლეთის და სამხ. დასავლეთის ფრონტებზე სროლაა.**

**რუმინეთის ფრონტი.** ხოტინის ჩრდ. დასავ. სოფ. ირლანთან მტერმა უკუგდეს პოზიციებზე დაიხია. სხვა ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

**ბალტიის ზღვა.** ენკენისთვის 19 და 20 მტრის ჰიდროპაეროპლანებმა ზვერვა მოახდინეს რევალთან, კუნძულ ეზელთან და ჰაინაშთან, 60 ვერსით პერნოვის სამხრ.

გამოირკვა, რომ კუნძულ ეზელზე აფეთქების დროს მოკლულია 70, დაჭრილი 40, სულ 114 კაცი.

**შავი ზღვა.** ბოსფორთან ჩვენმა ნაღმოსნებმა ნახშირით დატვირთული

ოსმალთა ორი შხუნა და დამხმარე გემი დაპლუპეს. ერთი შხუნა სევასტოპოლში მოიყვანეს. დატყვევებულია 39 ოსმალო.

მფრინავთა მოქმედება. დაბა გრეიმალოვკას სამხ. ჩდმ. სოფ. კრასნოს მტრის მფრინავთა რაზმი თავს დაესხა. ჩამოჰყარეს 80 ყუმბარა, მოკლულია 3, დაჭრილია 4 ჯარისკაცი, აგრეთვე დაიღუპა რამდენიმე ცხენი.

## უწესოება ბალტიის ფლოტზე

### საზღვაო მინისტრის მოწოდება

ჰელსინგფორსი. ენკენ. 19. ფლოტის ცენტრის დათხოვნის გამო ბალტიის ფლოტის ცენტრალ კომიტეტმა საზღვაო მინისტრისგან დეპეშით მოწოდება მიიღო. იგი სიწყნარისკენ მოუწოდებს. დეპეშაში აღნიშნულია, რომ გერმანელები ბალტიის ზღვაში შემოსატევად ემზადებიან. ამის გამო მთავრობამ რამდენიმე ბრძანება გასცა და მათ სთხოვს დიდ სიმშვიდეს, სიფხიზლეს და საქმისადმი გულმოდგინებას. დასასრულ საზღვაო მინისტრი სთხოვს არჩევნები დააჩქარონ, რადგან მეტად საჭიროა ფლოტის ცენტრისა და სამინისტროს შორის რეალ მუშაობის გაჩაღებაო.

### ფლოტის კომიტეტის გადაწყვეტილება

ჰელსინგფორსი. ენკენ. 19. მთავრობის დადგენილების გამო ბალტიის ფლოტის ცენტრის დათხოვნის შესახებ ბალტ. ფლოტის ცენტრალმა კომიტეტმა გადასწყვიტა საზღვაო მინისტრსა და დეპ. საბჭოების ცენტრ. აღმ. კომიტეტს საჩქაროდ გაუგზავნოს დეპუტატები, რომლებიც განუმარტავენ ფლოტის ცენტრალ ორგანიზაციის ადგენის აუცილებლობას. ბალტიის ფლოტის ცენტრ. კომიტეტის, გემების კომიტეტის და ჰელსინგფორსის დეპ. საბჭოს მუდმივური სექციის წარმომადგენლების გაერთიანებულ სხდომამ დაადგინა, მხარი დაუჭიროს ფლოტის ცენტრს.

### დასავლეთის ფრონტი.

საფრანგეთის შტაბის ცნობა.

პარიზი. ენკენისთვის 19. მდ. ენის ფრონტზე დაფუფე-ბელისა და ლაფოტის რაიონში ცხარე საარტილერიო ბრძოლაა, გერმანელებმა ლამომეს ტყისა და ბიზენის შუა მოიტანეს იერიში; მტერმა მოწინავე სანგრებში ჩამოჰრა შესძლო, მაგრამ ცხარე ბრძოლის შემდეგ მდგომარეობა გავიუმჯობესეთ. წამოყვანილია 15 ტყვე.

პარიზი. ენკენისთვის 19. შუა დღის ოფიციალი. მდ. ენზე, განსაკუთრებით კრაონთან არტილერია ორივე მხრივ მაგრად მოქმედებს. მტრის თავდასხმამ შოფენ-ლესის ჩრდილოეთით და აილის მიდამოებში უნაყოფოდ ჩაიარა. ბომონთან გერმანელების იერიშები სროლით მოვიგერიეთ და საგრძნობი ზარალი მივაყენეთ. წუხელის გერმანელებმა დუნკერკს ყუმბარები დაუშინეს, ნივთიერი ზარალი დიდია.

პარიზი. ენკენისთვის 20. რეიმსის ახლოს. ჩვენმა არტილერიამ მტერს ხელი შეუშალა იერიშის მოწყობაში. შამპანის დასავ. და კასკის ბორცვის მიდამოებში მტერს მარჯვედ დავესხით თავზე. ვერდენთან ორივე მხრით საარტილერიო შეჯიბრება ჰხდება. გუშინ ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მტრის სამხედრო ქარხნებს.

ინგლისის შტაბის ცნობა.

ლონდონი. ენკენისთვის 19. მენენ—იპრის გზებისა და პოლიგონის ტყის ჩრდ.-აღმ. კუთხის შუა ინგლისელთა ახალ პოზიციებზე გერმანელებმა 5 ჯერ შეუტიეს. მე-6 იერიში დილისეგზეში იპრ-რულერის რკინის გზის სამხრეთით უნაყოფოდ გამოდგა.

ლონდონი. ენკენისთვის 20. ტოფ ველტურსა და პოლიგონის ტყის შუა ინგლისელთა პოზიციებს გერმანელებმა 3-ჯერ შეუტიეს, რასაც საგრძნობი ზარალი არ მოჰყოლია. ძ რის ჩამოვაგდეთ გერმანელთა 2 საფრენი, ჩვენი მფრინავი უკან არ დაბრუნებულა.

### გერმანელთა ჰაეროპლანები ლონდონში

ლონდონი. ენკენისთვის 19. დედაქალაქის ჯარის უფროსი იუწყება, გუშინ 19 საათზე მტრის ჰაეროპლანთა რაზმი ესსექსიდან ლონდონისკენ გაემართა. თხუთმეტ წუთის შემდეგ მის მეორე რაზმი მოჰყვა. პირველი იერიში $19^{3}/_{4}$ საათზე მოიტანეს. ჰაეროპლანების უმრავლესობა მოიგერიეს. მხოლოდ ერთმა თუ ორმა შესძლო გამაგრებულის ხაზზე გადმოფრენა და სამხრეთ დასავლეთ უბანში ყუმბარების ჩამოგდება. მეორე ჯგუფი სხვა და სხვა პუნქტებიდან ცდილობდა ლონდონში შემოფრენას და 21 საათზე აქა იქ ყუმბარები ჩამოჰყარა. ჰაეროპლანების მე-4 რაზმმა გადმოიარა ესსექსზე, 21 საათზე ლონდონს მოახწია და 22 საათზე ჩრდილო დასავლეთის განაპირა უბნებში რამდენიმე ყუმბარა ჩამოჰყარა.

იტალიის შტაბის ცნობა

რომი. ენკენისთვის 20. მთელ ბრძოლის ხაზზე საშუალო სიძლიერის საარტილერიო ცეცხლია. ვაინანოიცაზე მტრის იერიშები სროლით მოვიგერიეთ. კარსოზე სამხრეთით ჩვენი მოდარაჯენი მხნედ მოქმედებენ, ჩრდილოეთ ნაწილში კი უეცრივი თავდასხმით მტერს პოზიციები წავართვით და წინ წავიწიეთ.

### ამერიკის საომარი მზადება

ლონდონი. ენკენისთვის 19. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ პალატამ სამხედრო გარდასახადები დაამტკიცა, რაც შემოსავალს 2,575 მილიონ დოლლარით გაადიდებს. ინგლისს სესხად მიცემა საერთოდ 1240 მილ. დოლლარი.

### სერბეთის მთავრობა

ქარფუ. ენკენისთვის 19. სერბეთის მთავრობა სოლუნში გადავიდა.

## ზავის გარშემო

### გერმანეთი ბელგიას სცლის

რომი. ენკენისთვის 19. „ჯიორნალე-დ-იტალია“ იტყობინება: რომის პაპმა მოკავშირეებს გადასცა ცენტრალ სახელმწიფოთა საპასუხო ნოტები და თან გაატანა მეორე ნოტა, რომელშიაც აცხადებს, რომ მას გაუგია, ვითომც გერმანეთი მზად იყოს გაანთავისუფლოს ბელგიეთი და ჩრდილოეთი საფრანგეთი. რომის პაპი შუამავლობას ჰკისრულობს და ეკითხება შეთანხმებულ სახელმწიფოებს, ჰსურთ თუ არა, რომ წინადადებით მიმართოს მან გერმანეთს, რათა უფრო გარკვევით გამოსთქვას ევაკუაციის პირობები.

# რუსეთის რესპუბლიკა

## დეპეშები

### თურქესტანის ამბები.

პეტროგრადი. ენკენისთვის 19. თურქესტანის ამბების შესახებ დრ. მთავრობამ დამატებითი ცნობა მიიღო. „ტაშკენტის დეპ. საბჭოსა და მთავრობას შორის ატეხილი უთანხმოება ასეთი პირობებით იქნა მოსპობილი: თურქესტანის დეპ. საბჭოს ულტიმატუმი მნიშვნელობას ჰკარგავს, ამბოხებაში მონაწილე პირთა და სამხ. ნაწილთა ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილია, პოლკ. კოროვიჩენკოს უნდა გაეგზავნოს დეპეშა, ასლი კერენსკის, რომ თურქესტანში სიწყნარე ჩამოვარდა, ამიტომ დამსჯელი რაზმის გამოგზავნა საჭირო აღარ არის, დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტი პირობას სდებს, რომ მშვიდობიანობის ჩამოგდებას ხელს შეუწყობს“. შესდგა 4 პირისგან შერეული კომისია. მაგრამ ნალივკინი და შტაბის უფროსი მაკავეევი ჯარის კაცებმა ქუჩაში დაიჭირეს და რამდენიმე საათის შემდეგ გაანთავისუფლეს. აღმ. კომიტეტმა ძალით დაიპყრო შტაბის სტამბა და თურქესტანის კომიტეტის საწინააღმდეგო მოწოდება გამოუშვა. ნალივკინი მეამბოხეთ დამსჯელი რაზმით დაემუქრა. კომისიამ მოწოდება გამოუშვა, შეთანხმების ძალაში დასარჩენად საჭიროა სიწყნარე ჩამოვარდეს. საოლქო საბჭოს წევრები სოფესკომბელეზში დაიმალნენ. თურქესტანის საბჭოების უმრავლესობა დრ. მთავრობის მომხრეა.

### სასტიკი ზომები მეამბოხეთა წინააღმდეგ.

პეტროგრადი. ენკენისთვის 19. კერენსკიმ კოროვიჩენკოს დეპეშა გაუგზავნა, დაუყოვნებლივ შესწყვიტოს მოლაპარაკება მეამბოხეებთან და მიატოვოს თურქესტანი. დეპეშა საჭიროდ სცნობს სასწრაფოდ სასტიკი ზომების მიღებას.

### არეულობა ჯარში.

ოდესა. ენკენისთვის 19. მთავრობამ უარჰყო გაზეთებში გავრცელებული ხმები, რომ ხნიერ ჯარის კაცებს ითხოვენ. ამის გამო, ორ ადგილობრივ საყარაულო რაზმში უკმაყოფილებამ იჩინა თავი. სამხ. კომისარის განმარტების შემდეგ მოვალეობის ასრულება განაახლეს.

### ქარხნების გაფიცვა

კიევი. ენკ. 20. გაიფიცნენ 13 ერთის მკერავი ქარხნის მუშები. მოითხოვენ ჯამაგირის მომატებას.

### ჯარის კაცთა უწესოება

ორიოლი. ენკ. 18. ქალაქში და გუბერნიაში სამხედრო წესები გამოცხადდა. ერთ პოლკში ხელ-ახლად იჩინა თავი მღელვარებამ, რომელსაც ციხიდან განთავისუფლებულები უდგანან სათავეში. წესიერების აღსადგენად მეორე რაზმი გამოითხოვეს მოსკოვიდან. ჯარის უფროსმა სასტიკი ზომების მისაღებად ბრძანება უკვე მიიღო.

### დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის

პეტროგრადი. ენკ. 20. დამფუძნებელ კრებისთვის საარჩევნო სიების შესადგენათ უკანასკნელი ვადა ენკ. 23-ია. პეტროგრადში უკვე დაიწყო საარჩევნო სიების შედგენა. მუშავდება ჯარსა და ფლოტში არჩევნების წესდება.

### გაფიცვა რკინის გზებზე

მოსკოვი. ენკ. 20. რკინის გზებზე გაფიცვა იზრდება. დაიწყო გაფიცვა ტაშკენტის სარკინიგზო ქარხნებში. საშიშო ცნობები მოდის ვორონეჟიდან, ცარიცინიდან და სამარიდან. მოსალოდნელია საკითხის გამწვავება.

## უწესოება

მოსკოვი. ენკ. 20. ვორონეჟის გუბ. ქ. ოსტროგოჟსკში ჯარისკაცებმა ერთი ღვინის საწყობი დაამტვრიეს და ცეცხლი წაუკიდეს. უწესოება გრძელდება.

### ოდესის დაცლა

ოდესა. ენკ. 20. იწვევენ საგანგებო თათბირს ოდესის დაცლის საკითხის განსახილველად.

### ყაზახთა წარმომადგენლები ვერხოვსკისთან

პეტროგრადი. ენკენისთვის 21. სამხედრო მინისტრმა ვერხოვსკიმ თურქესტანში მომხდარ ამბების გამო სალაპარაკოდ ყაზახთა წარმომადგენლები მიიწვია. სამხედრო მინისტრს დონის ერთ ერთ ბრიგადისთვის თურქესტანში ამბოხების ჩასაქრობად წასვლა უბრძანებია, მაგრამ ყაზახებს უარი განუცხადებიათ. გავრილოვმა ამაზე უპასუხა: პეტროგრადში ბოლშევიკების დასამშვიდებლად რომ ყაზახობა გაიგზავნა, მათ მეამბოხეობა დასწამეს. ამიტომ ყაზახობა ეხლა კატეგორიულ უარს აცხადებს ვისმეს დასამშვიდებლად წავიდესო. ვერხოვსკის კითხვაზე, დონში ყაზახთა ორი დივიზია რად იმყოფებაო, გავრილოვმა უპასუხა: ისინი დედების, დების, ქალიშვილების დასაცველად იდგებიან, ვიდრე ომი არ გათავდება. დასასრულ გავრილოვმა განაცხადა, რომ მეტად სასურველია, რომ ყველა ფრონტის ყაზახთა ყრილობის კიევში მალე მოეწვევა. ორენბურგის ჯარის წარმომადგენელმა სამხედრო სამინისტროსთან ყაზახთა წარმომადგენლობითი ორგანოს დაარსება მოითხოვა.

## პეტროგრადის დემოკ. თათბირი

დეპეშათა სააგენტომ ეს ანგარიში დააგვიანა და მის გადმოცემას კვნესხ ყრის ამბავმა უსწრო.

### 19 ენკენ. საღამოს სხდომა

### ჩერნოვის სიტყვა

მარტოვის შემდეგ სოციალისტ-რევოლუციონერების სახელით ჩერნოვმა ილაპარაკა. არა მგონია,—სთქვა მან—კოალიციის ცენზიან ელემენტებთან—დემოკრატიის კონკრეტიულ პროგრამის განხორციელებას შეუდგესო.

### ტროცკის სიტყვა

ჩერნოვის შემდეგ ტროცკიმ ილაპარაკა. მას ბოლშევიკები ოვაციით შეეგებნენ. იგი აცხადებს: კოალიციის აუცილებლობაში ვერ დამარწმუნეს ყოფილ სოციალისტ-მინისტრებმა, რომელთაც თავიანთ მოქმედების ანგარიში კი არ წარმოადგინეს, არამედ სხვა და სხვა რჩევას მიმართეს. არ მაკმაყოფილებს აგრეთვე ეხლანდელ მინისტრების მოღვაწეობა. პირველადვე კერენსკის მეთაურობით შემდგარ 5 წევრთაგან მთავრობის დაცვა შემომესმა (ხმები: „გაუმარჯოს კერენსკის“. მქუხარე ტაში. ბოლშევიკების ხმაურობა ნათლად ისმის. ჩხეიძე ძლივს აწყნარებს დარბაზს). დასასრულ ტროცკი მოითხოვს კოალიციის უარყოფას და მთავრობის საბჭოების ხელში გადაცემას. (ბოლშევიკები ტროცკის დიდ ოვაციას უმართავენ).

### ირ. წერეთლის სიტყვა

წერეთელი აღნიშნავს, რომ რუსეთის რევოლუცია თავიდანვე კოალიციური იყო. კოალიციის კრიტიკა ეს რუსეთის რევოლუციის კრიტიკაა. ორატორი უარყოფს იმ მტკიცებას, თითქოს კოალიციას არა მოეტანოს რა. კოალიციამ მოგვცა თავისუფლება, რუსეთის რესპუბლიკა, ქალაქებისა და ერობათა დემოკრატიზაცია. წერეთელი ერთფეროვან სამინისტროს წინააღმდეგია. ეხება რა ტროცკის განცხადებას, ვითომც ბოლშევიკებს არ ჰსურდეთ რევოლიუციურ დემოკრატიის წინააღმდეგ მთავრობის ჩაგდება—ორატორი ამბობს: მე მივესალმებოდი იმ პარტიას, რომელიც ერთად ერთ მისაღებ პროგრამის განსახორციელებლად ჩაიგდებდა მთავრობას ხელში—მაგრამ ბოლშევიკებს ეს არ ჰსურთ, ისინი მოითხოვენ, რომ მთავრობა დეპუტატთა საბჭოების ხელში გადავიდეს.

ორატორი შეეხო რევოლუციის მიზნებს და განაცხადა, რომ მათი განხორციელება მთელი ერის საქმეა. კერენსკის ბრალდებათა წინააღმდეგ წერეთელმა სთქვა, რომ ბონაპარტიზმი რუსეთში ბოლშევიკურ კარიებებით შემოიჭრება. პირველი დამარცხებული ბონაპარტი რევოლუციურ პოლკებს ბოლშევიზმთან საბრძოლველად აღმართულ დროშით მოუძღოდა.

დასასრულ წერეთელი აცხადებს,—რომ კოალიციის უარყოფით თქვენ უარჰყოფთ რევოლუციას — ვინაიდან კოალიცია ეს ჩვენი რევოლუციაა. (ხანგრძლივი ტაში).

### პლეხანოვის სიტყვა

„ედინსტვო“-ს წარმომადგენელი კითხულობს პლეხანოვის სიტყვას. სიტყვაში აღნიშნულია კოალიციის საჭიროება კადეტებთან. პლეხანოვი აცხადებს, რომ არ შეიძლება „რეჩ“-ში დაბეჭდილ რამოდენიმე წერილით კადეტებს ბრალი დავდოთ კორნილოვთან სოლიდარობაში.

მეტროგრადის პროლეტარიატის წარმომადგენლები მოითხოვენ რომ მთავრობა დეპუტატთა საბჭოების ხელში გადავიდეს.

პეტროგრადი. ენკენ. 19. პრეზიდიუმმა კრების საყრელად სხვა და სხვა საკითხების შემუშავება დააგვიანა, ამის გამო თათბირის სხდომა 3 საათზე და 25 წუთზე დაიწყო. სიტყვას აძლევენ ერობებთა ყრილობის წარმომადგენელ ბოროკოვს. ბოროკოვმა აღნიშნა, რომ რუსეთის ეროვნებათა შორის სეპარატიული ლტოლვილება არ იჩენს თავს წინააღმდეგ მათ მტკიცედ აქვთ შეთვისებული ლტოლვილება ფედერაციისადმი. ბოროკოვი მხარს უჭერს რევოლუციურ ელემენტების კოალიციას. შემდეგ ქ. ჩხეიძე აცხადებს, რომ პრეზიდიუმს აზრად აქვს კენჭი უყაროს ჯერ კოალიციას ცენზიან ელემენტებთან, შემდეგ კოალიციას კადეტებთან და დასასრულ საქმიანობის პარტიათა კოალიციას. უმრავლესობამ, 660 ხმით 574 წინააღმდეგ ახალი კენჭის ყრა მიიღო.

შემდეგ წარსდგა ჰელსინგფორსის ნავთსადგურის და სვეაბორგის ციხის წარმომადგენელი შიშკო, რომელიც აცხადებს: როგორი კოალიციური სამინისტროც უნდა შესდგეს ბალტიის ფლოტის ნდობას ვერ მოიპოვებს (ბოლშევიკების მოწონება, პროტესტი დანარჩენებისა), ბალტიის ფლოტის მეზღვაურნი მოითხოვენ მთავრობის დეპუტატთა საბჭოს ხელში გადასვლას და როგორც პეტროგრადის გარეშე მტრისგან დაცვას შესძლებენ, ისე დემოკრატიას დაიხსნიან ოჯენება ბატონობისგან. (ხმები: სირცხვილი! სირცხვილი! ხმაურობა და ბოლშევიკების ტაში).

მინორმა, რომელსაც ზოგი ტაშით შეეგება და ზოგიც ყვირილით, განაცხადა: დღეს, როდესაც დიდი აქტი სწყდება, ყოველივე ძალადობა ჩვენს სინდისზე—ავაზაკობად უნდა ჩაითვალოს (ტაში).

კენჭის ყრა იწყება 4 საათზე და 15 წუთზე.

### კენჭის ყრა

სხდომა გაიხსნა 10 ს. 15 წ. კენჭის ყრის საგანზე ლაპარაკობენ: ბოლშევიკების სახელით ტროცკი, ესერთა ჯგუფის მხრით მინორი, „ედინსტვო“-ს ჯგუფს სახელით—ნესტეროვი, ინტერნაც.-მენ.—მარტოვი, მემარცხენე ესერებისა—კამკოვი, საკოოპერატივო ჯგუფის მხრით კუსკოვი.

შესწორებას მხარს უჭერს 797, წინააღმდეგია 139, თავს იკავებს 196. (შესწორების ტექსტი ჯერ არ მიგვიღია).

მეორე შესწორება: კადეტები კოალიციას გარეშე რჩებიან.

ლაპარაკობენ კენჭის ყრის თაობაზე.

ერობათა ჯგუფის წარმომადგენელი ამბობს, შესწორების მიღებით მთელი კადეტთა პარტიას უტევებს სახელსო.

წერეთელი მეორე შესწორების წინააღმდეგია. მისი აზრით პირველი შესწორების მიღების შემდეგ მეორეს პოლიტიკური აზრი ეკარგება, რადგანაც მთელ შეძლებულ კლასს აბრალებს კორნილოვის შეთქმულებაში მონაწილეობას. (ტაში).

კენჭს უყრიან მეორე შესწორებას. მხარს უჭერს 595, წინააღმდეგია 483, თავს იკავებს 72.

იწყება მოძრაობა. კრების თავმჯდომარე აქსენტიევი წინადადებას იძლევა მთელ ფორმულას უყარონ კენჭი. ამის შესახებ ლაპარაკობენ: ბოლშევიკების მხრივ კამენევი, მემარცხენე ესერებისგან ხმარდონოვიხა, გაერთიანებულ სოც.-დემ. სტეკლოვი. ყველანი წინააღმდეგნი არიან, რომ ფორმულას უცვლელად ეყაროს კენჭი. ვინაიდან მათი ჯგუფები საერთოდ წინააღმდეგნი არიან კოალიციისა. კოალიციის მომხრე მენშევიკების წარმომადგენელი დანი, კოოპერატივთა ჯგუფისა ბერკენჰაიმი და ერობათა წარმომადგენელი ჩაიკოვსკი წინააღმდეგნი არიან ფორმულისა, ვინაიდან იგი არ ჰგულისხმობს რეალ კოალიციის შექმნასაო.

კენჭის ყრის შედეგი ასეთია: ფორმულის მომხრეა 183, წინააღმდეგი 813, თავი შეიკავა 80. ამნაირად ფორმულა უარჰყვეს. კრება შესწყდა 40 წამით, რომ პრეზიდიუმს შეძლება ჰქონდეს იმ ჯგუფის ამ მდგომარეობაზე თავმჯდომარე სთხოვს კრებას—არ დაიშალოს.

### ირ. წერეთლის რეზოლუცია

პეტროგრადი. ენკენ. 19. სხდომა ღამის 1 საათზე და 16 წუთზე განახლდა. პრეზიდიუმის სახელით წერეთელი აცხადებს, პრეზიდიუმს უკანასკნელი კენჭის ყრა მთავრობის მოწყობის შესახებ იმის მაჩვენებლად მიაჩნია, რომ დემოკრატიას აკლია ის მთლიანობა, რომლის ნიადაგზედაც მიღებულ გარდაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება შეიძლებოდა. ამის გამო პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა, ენკენისთვის 20-ს სმოლნის ინსტიტუტში თვით დემოკრატიის შესათანხმებლად გაიმართოს კერძო თათბირი. ამისთვის კი საჭიროა რომ თათბირში პრეზიდიუმთან ერთად ყველა ჯგუფის თითო წარმომადგენელმა და პოლიტიკურ მიმდინარეობათა და ცენტრალ კომიტეტების სამ-სამ წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღონო. მე დარწმუნებული ვარ, აცხადებს წერეთელი—რომ თვით დემოკრატია შეთანხმდება. დასასრულ წერეთელი კითხულობს რეზოლუციას რომელიც ერთხმად მიიღეს. რეზოლუცია შემდეგია: „სრულიად რუსეთის დემოკრატიულ თათბირმა დაადგინა არ დაიშალოს ვიდრე არ დაამტკიცოს მთავრობის საორგანიზაციო და საფუძქციო პირობები დემოკრატიისათვის მისაღებ ფორმით.

### კერძო თათბირი

პეტროგრადი. ენკენ. 20. დემოკრატიულ თათბირის პრეზიდიუმის საბჭოების, ჯგუფებისა და ფრაქციებთან თათბირი დილიდან სწარმოებს. 6 საათზე კერენსკი მოვიდა და 1 საათი ილაპარაკა. სხდომა გრძელდება.

## ეროვნული საკითხი

### პოლონეთის პოლიტიკური ცენტრი

პეტროგრადი, ენკენის. 20. ამერიკის პოლონელთა მეთაურობით შვეიცარიაში არსდება. პოლონელთა ცენტრალი პოლიტიკური ორგანიზაცია.

### პოლონელთა ჯარი ამერიკაში

პარიზი. ენკენის. 18. ბრაზილიაში და შეერთებულ შტატებში საფრანგეთის მიერ გაგზავნილი პოლონელთა დელეგაცია აღფრთოვანებით მიიღეს. შეერთებულ შტატებში პოლონურ პარტიების გაერთიანება პოლონეთის ჯარის ავტონომიის საფრანგეთის პროგრამის მიღებით მოხდა. როდე აილენდში და ჩიკაგოში პოლონელთა დიდი მიტინგები გაიმართა, რომლებზედაც მიესალმნენ საფრანგეთსა და კერძოდ პუანკარეს. შესდგა საფრანგეთის ასპარეზზე გასაგზავნი პოლონელთა ჯარი, რომელშიაც მრავლად ეწერებიან ამერიკელი პოლონელები.

### პოლონეთის მთავრობა

სტოკჰოლმი. ენკ. 20. პოლონეთის სახელმწ. სარეგენტოს და საბჭოს წევრებად ლიუბომირსკი, არქიეპ. კაკოვსკი და რეალ პოლიტიკის პარტიის ლიდერი ოსტროვსკი დაინიშნენ.

## ფინლიანდია და რუსეთი

### სეიმის არჩევნები

ჰელსინგფორსი. ენკენის. 19. სეიმის არჩევნებს ხალხი ხალისით ეკიდება. რამდენიმე ადგილას არჩევნებში მონაწილეობის მიმღებთა რიცხვი უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე 1916 წ. ასე რომ ზოგან ეს რიცხვი 40 პროცენტამდე აღწევს.

### იარაღის შემოზიდვა

პეტროგრადი. ენკ. 19. შვედურ გაზეთებში მოყვანილი იყო ცნობები, რომ შვეციაში აღმოჩენილია ფინეთში გასაგზავნი იარაღისა და ბრაუნინგების საწყობები შვეციის მთავრობამ ამის გამო რუსეთისას აცნობა, რომ უკვე მიღებულია ყველა ზომები, რათა ზემოხსენებული იარაღი და ბრაუნინგები ფინეთში არ გადავიდეს.

### ფინეთის სეიმის არჩევნები

ჰელსინგფორსი. ენკ. 21. ფინეთის სეიმის არჩევნების შედეგი ასეთია: შვედების პარტიამ 6,300 ხმა მიიღო, გაერთიანებულმა ბურჟუაზიულმა ბლოკმა 30,706, სოც. დემ. 30,106. მემამულეებმა 2,621, გლეხმა მუშებმა 159. გლეხების დიდი ნაწილი ბურჟუაზიულ ბლოკში შევიდა. ბურჟუაზიულმა პარტიებმა სულ 40,000 ხმა მიიღეს, სოციალისტებმა 31,000.

## უკანასკნელი დეპეშები

„დელოა ნაროდა“ აღნიშნავს, რომ დამარცხდა თათბირზე მებრძოლი ხაზი წინააღმდეგობა. ხაყოველთაო დამარცხება და არეულ გამარჯვებული—აი რით დამთავდა ხაში დღის ბრძოლა. რუსეთის რევოლუციის ისტორიაში ადნიშვნება შავი ხერხებისა. მეორე წერილში გაზეთი სწერს: „ან გაიმარჯვებს ძირს დირექტორია და გაუმარჯოს ტაშკენტს, ფინლიანდიას, ორიოლს, დაუყოვნებლივ ზავს და ლენინს ზანოვიევით,—ანდა მთელი დანარჩენი დემოკრატია უნდა გაერთიანდეს და რკინის ხელით დაიმონოს ბოლშევიზმი.

—

„იზვეს. ხოვ. დეპ.“ აზრით რევოლუციის და ხაშმობლის ბედი მალე გადაწყდება ორ ფრთის უხამვალო ბრძოლით.

—

„დელო ნაროდა“ აღნიშნავს: კენჭის ყრამ გამოარკვია, რომ ცალ ფრთას პროლეტარიატი შეადგენს და მეორეს—მეხოვრებთა ფართე დემოკრატიული მასსა, რევოლუციონურ გლეხობიდან დაწყებული კოოპერატივებამდე. პროლეტარიატი რევოლუციას ხასხნელად მოვალეა კოალიციის იდეას დაუჭიროს მხარი.

—

შესაძლებელია, რომ კერენსკი სრულიად გავიდეს მთავრობიდან. მის მოადგილედ ვერხოვსკისა და ჩერნოვს ასახელებენ.

—

რკინის გზებზე მოსამსახურეთა ცენტრალ აღმ. კომიტეტმა გაფიცვის დღედ ენკენის. 25 დანიშნა.

# ქრონიკა

## თბილისი

✦ ხაქო იწვის. ელექტრონის მავთულის გაწყვეტის გამო „შავ ქალაქში“ სად. პეტროლის ნავთის ავზში ცეცხლი გაჩნდა, რომელიც მალე სხვა ავზებსაც მოედო, იწვის 1 მილიონ ფუთამდე ნავთი.

✦ სანიტენდანტოს საქონლის აღმოჩენა. საგანგებო კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს მონახოს ვინაც სამხედრო ბეგარას გაურბიან, აღმოაჩინა ვინმე მირზოევის ქარხანაში დიდძალი ქონი და ბზისუმზირისა და ბამბის ზეთი, რომელიც საინტენდანტო უწყებას ეკუთვნის. მირზოევის ქარხანას დიდებულად ჰქონია მოწყობილი საინტენდანტოს საქონლის ყიდვა გაყიდვის საქმე. 10 ათას ფუთამდე ზარტო ქონი გაიტანიათ საინტენდანტოს საწყობიდან. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ სამხედრო შტაბის დუქნის გამგე შტაბს-კაპ. იაკიმოვი ამ დუქნიდან დიდძალ საქონელს აძლევდა მალულად იმავე მირზოევის ქარხანას. იგივე ქარხანა ყალბ საბუთის ქაღალდებს ადგენდა, რომლითაც სამხედრო ბეგრისაგან ანთავისუფლებდნენ ჯარში გასაწვევთ. მირზოევის ქარხნის გამგე ვინმე ორჯონიკიძე, რომელიც სხვა მის ამხანაგებთან ერთად ციხეში გაგზავნეს.

✦ გიორგი რომანოვის ბიბლიოთეკა. დიდ მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს რომანოვს გარდაცვალების შემდეგ ძვირფასი ბიბლიოთეკა დარჩა, რომელშიაც იშვიათი წიგნები მოიპოვება საქართველოს კერძოდ და საერთოდ მთელი კავკასიის შესახებ. ამ ბიბლიოთეკიდან ბევრი წიგნი იკარგებოდა და იკარგება. ეხლა ამიერ კავკასიის სამეცნიერო ცენტრს გადაუწყვეტია ფიცხლად ღონისძიება იქმნას მიღებული ბიბლიოთეკის მთლიანობის დასაცავად.

✦ ქართული წარმოდგენა. შაბათს, 23 სექტემბერს მუხუთე უბნის ქართველ ქალთა სიზოგადოების განყო-

ფილების სასარგებლოთ „სახელოსნო კლუბში“ (მიხ. პრ.) წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე ოპერეტა „არშინ მალ-ალან“.

**ტყეების დაცვა.** დღეს, ენკენისთვის 23-ს, ბორჯომს მიემგზავრებიან ამიერ-კავკასიის სამდგომარეო კომისიის თავმჯდომარე არ. ფირალოვი და წევრი კომისიისა პ. გელეიშვილი, რათა დაწინაურება იქონიონ ბორჯომ-აბასთუმნის ტყეების უმოწყალოდ გაჩეხვის წინააღმდეგ.

**სურსათი.** ენკენისთვის 20—21-ს საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ მიიღო: ფქვილი 1 ვაგ., ქერი 8 ვაგ. და კარტოფილი 2 ვაგონი.

**ქართველ მხედრის ხმა.** მე 28 კორპუსის ქართველ მხედართა კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგის ექიმ იმნაძილისაგან „საქართველოს“ რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „დიდი ხნის სანუკვარმა ეროვნულმა საბჭომ, რომელსაც ძლიერ ვუცდიდით, ილოცეს, რომ ჩვენ, ყველანი, მუდამ მასთან ვართ და მრავალტანჯულ სამშობლოს საკეთილდღეოთ მზად ვიქნებით თავი დავდოთ“.

**კვირას,** 24 ენკენისთვეს დილის 11 საათზე, დანიშნულია კურთხევა ახლად გახსნილ ე. ს. ბილანაშვილის გიმნაზიისა. მსურველთ ვთხოვთ შემდეგი მისამართით: ლოტკინის ქუჩა, № 35.

**პ. საყვარელიძის მოხსენება.** კვირას, 24 ენკენისთვის, ქართული კლუბის დარბაზში (სასახლის ქ. № 5) პ. დ. საყვარელიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგს თემაზე: „**სახელმწიფოთაშორისო და საერთაშორისო შეთანხმება**“ (ინტერპარტიულ ეროვნულ საბჭოს გარშემო). ბილეთები დარიგდება შესავალში. ბილეთების ფასი 25 კაპ. დასაწყისი დილის 11 საათზე.

**ეროვ.-დემოკ. ქართ. სტუდენტთა კრება.** დღეს, საღამოს 7 საათ., ფრეილინის ქუჩაზე, კლარის ფოტოგრაფის გვერდზე დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატ. სტუდენტ ქალთა და ვაჟთა კრება. კრების საგანია: კათალიკოსის კურთხევაში მონაწილეობის საკითხის განხილვა, ახალი წევრების მიღება და ახალი კომიტეტის არჩევა. ამხანაგებს ვთხოვთ უეჭველად დაესწრონ კრებას, კრებაზე პარტიის სხვა წევრებსაც შეუძლიანთ დაესწრონ. მათ რჩევაში სრული ხმით შეუძლიანთ ისარგებლონ.

**ქართ. სტუდ. კრება.** ენკენისთვის 24-ს ქართ. გიმნაზიის შენობაში დანიშნულია თბ. პოლიტექნიკუმის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის ქართველ სტუდენტთა კრება. კრების მიზანია საორგანიზაციო საკითხების გარკვევა.

**საარქეოლოგიო ექსპედიცია.** ქართ. საის. და საეთნ. საზოგადოების მიერ ოსმალეთის საქართველოს არქეოლოგიურ სიძველეთა შესასწავლად გაგზავნილი ექსპედიცია უკვე დაბრუნდა თბილისში. ექსპედიციაში შედიოდნენ: ექვ. თაყაიშვილი და მხატვრები: დ. შევარდნაძე, ვლ. გულიაშვილი და მ. ჭიაურელი, ინჟ. ა. კალგინი, ლიტერატ. ი. ზდანევიჩი. ექსპედიციას დაუთვალიერებია ხახულისა, ოშკისა, იშხანისა, ფარხალისა, დორტ-კილისისა და სხვა მრავალი ტაძრები, რომელნიც ზომით სიონის ტაძარს აღემატებიან თურმე. ექსპედიციამ უკვე ვრცელი მოხსენებანი წარუდგინა კათალიკოსის საბჭოს მხატვართა და საქველმოქმედო საზოგადოებებს.

## ქურთებისა და რუსების შეთანხმება

ცხენოსანთა კორპუსის უფროსი გენ.-ლეიტენანტი ბარათოვი ოსვიაკენდის სახანოს ქურთებს შესთანხმებია. ქურთები დაჰპირებიან, რომ მათ ოლქებში რუსის ჯარს მეგობრულად შეეხვედრებიან, სამაგიეროდ ქურთებს ნება ეძლევათ თავისუფალი ცხოვრებისა რუსის ჯარის მიერ დაპყრობილ ოლქებში. დაარსდა შერეული კომიტეტი, რომელშიაც ორივე მხრის წარმომადგენლები შედიან. კომიტეტის მიზანი რუსის ჯარსა და ქურთებს შორის მშვიდობიანობის დაცვაა.

## წესი კათალიკოზის და მღუდელმთავართა მოხსენებისა ღვთისმსახურების დროს

**დიდ კვერექსზე:**

უწმიდესისა და უნეტარესისა პატრიარქისა, მცხეთის მთავარ ეპისკოპოსის და სრულიად საქართველოჲს კათალიკოზის კირიონისათვის, და მამისა ჩვენისა მაღალყოვლად უსამღვდელოესის თბილელ მიტროპოლიტის ლეონიდესთვის, პატიოსანთა მღუდელთა...... უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**შეგვიწყალენზე:**

მერმეცა გევედრებით უწმიდესისა და უნეტარესისა პატრიარქისა, მცხეთის მთავარეპისკოპოზის და სრულიად საქართველოჲს კათალიკოზის კირიონისთვის, და მამისა ჩვენისა მაღალყოვლადუსამღვდელოესის თბილელ მიტროპოლიტის ლეონიდესთვის...... ...

**სიწმიდის გამოსვენებაზე:**

უწმიდესი და უნეტარესი პატრიარქი, მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოჲს კათალიკოზი კირიონი, და მამა ჩვენი მაღალყოვლადუსამღვდელოესი თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე მოიხსენოს უფალმან ღმერთმან სასუფეველსა თვისსა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**შენიშვნა:** აქ სამაგალითოდ ნახსენებია თბილელი მიტროპოლიტი, სხვა ეპარქიებში, კათალიკოზის შემდეგ, მოიხსენებენ ადგილობრივ მღვდელმთავრებს.

## ეროვნულ საპედაგოგიო საბჭოს სხდომა

ენკენისთვის 21-ს მოხდა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტთან არსებულ ქართულ ეროვნულ საპედაგოგიო საბჭოს სხდომა. თავმჯდომარეობდა სამოსწავლო ოლქის კომისარი ლ. ნათაძე. საბჭომ, უპირველეს ყოვლისა, ითათბირა თავისი უფლებების შესახებ, ე. ი. საბჭოს დადგენილებანი სავალდებულო იქნება თუ არა მთავრობისა და სკოლების ადმინისტრაციისათვის. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა დროებით გადაიდო, რადგან საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ ინტერპარტიულმა საბჭომ ჯერ-ჯერობით უნდა შეავსოს საპედაგოგიო საბჭო და შემდეგ შუამდგომლობა აღძრას შესახებ იმისა, რომ ეს უკანასკნელი სრულუფლებიანი იყვეს. შემდეგ კრებამ ითათბირა სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ. ამაზე ნათაძემ ვრცელი მოხსენება წაიკითხა და კრებას გააცნო ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის დადგენილება. მოხსენებიდან და ამიერ-კავკ. საგ. კომიტეტის დადგენილებიდან გამოირკვა, რომ სკოლის ნაციონალიზაცია დაწყებულია ყველა ტიპის პირველდაწყებით სასწავლებლებში უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლების პირველ კლასებში, გიმნაზიის მოსამზადებელ კლასებში და სადაც მოსახერხებელია, უმაღლეს კლასებშიაც, მაგრამ მხოლოდ მშობლების თანხმობით.

ამ უკანასკნელმა სიტყვამ დიდი კამათი გამოიწვია. მთელი საბჭო წინააღმდეგი იყო კომიტეტის ასეთი დადგენილების და მოითხოვა, რომ ქართველი ბავშვები მშობლებმა არ შეიყვანონ რუსულ განყოფილებაში. ამასთან ისიც ირკვევა, რომ ბევრს მშობლებს თხოვნა შეუტანიათ, ჩვენს შვილებს რუსულ განყოფილებაში ასწავლეთო, საბჭომ დაადგინა, მოწოდებები დაიბეჭდოს გაზეთებში, რომ მშობლებმა ასეთი სამარცხვინო ნაბიჯი არ გადასდგან. მოწოდების შედგენა მიენდო დ. კარიჭაშვილს და დ. უფლიძეს. მოწოდებები უნდა დაიბეჭდოს ქართულს და რუსულს გაზეთებში. საბჭოს წევრებმა გაინაწილეს გიმნაზიები და თითოეულმა მათგანმა უნდა განუმარტოს მშობლებს მნიშვნელობა მშობლიურ ენაზე სწავლების. კრება დასრულდა ღამის 12 საათზე. შემდეგი კრება დანიშნულია მომავალ ოთხშაბათს, ენკენისთვის 27-ს, პროგრამების შესადგენად, სახელმძღვანელოების გადასათვალიერებლად და სხვ.

## რკინის გზების გაფიცვის მოლოდინი

რუსეთის რკინის გზების მოსამსახურეთა ცენტრალ კომიტეტმა მოსამსახურეთა სახელით ეკონომიური მოთხოვნილებანი წარუდგინა მთავრობას და რადგან დამაკმაყოფილებელი პასუხი დროზე ვერ მიიღო, ყველა გზების გაფიცვა გამოაცხადა ენკენისთვის 24 დან. ამ ამბავმა, შიშის ზარი დასცა როგორც დროებით მთავრობას, აგრეთვე სარევოლუციო ორგანიზაციებს. ამ საგნის შესახებ შემდეგ დეპეშას უგზავნის ფოსტა ტელეგრაფის მინისტრი ნიკიტინი კავკასიის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს: „რკინის გზების ცენტრალ კომიტეტი არ მოერიდა რესპუბლიკის დიდ განსაცდელს, არ დაუცადა დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებას და გადაწყვიტა გაფიცვის მოხდენა ენკენისთვის 24-დან. რკინის გზების მოძრაობის შეჩერება დიდი დანაშაულია, რომელიც სამშობლოს ღალატს უდრის და რომლისთვისაც კანონიერი სასჯელი არსებობს. ყველა მოქალაქეთ მოვუწოდებ სამშობლო დაიცვან ახალ უბედურებისაგან, რომელიც არაფრით ჩამორჩება კორნილოვის შეთქმულებას. მოგიწოდებთ დაიჭიროთ ბოროტგანზრახულების შინაარსიანი ყველა დეპეშა და მათ შესახებ მაცნობოთ მე“.

ამავე საგნის შესახებ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მოწოდება გამოსცა ამიერ-კავკასიისა და ჩრდილო-კავკასიის რკინის გზების მოსამსახურეთადმი, რათა არ დაუშვონ თვითნებური საქციელით რევოლუციო, ვინაიდან რკინის გზის მოძრაობის შეჩერება, თუ გინდ მხოლოდ ერთი დღეს, სამარეს უთხრის ჯარებს ფრონტზე და მცხოვრებლებს საერთოდ. გახსოვდეთ, რომ სურსათის მოზიდვის ერთი დღით შეწყვეტა გამოიწვევს კავკასიელთა მდელვარებას, რომელნიც დღემდისინ მაგალითის მაჩვენებელნი იყვნენ სარევოლუციო წესიერებისა. იგივე კომიტეტი ამასთანავე აცხადებს, რომ ამიერ კავკასიის გზების მთავარმა კომიტეტმა გადასწყვიტა არ შეაჩეროს გზების მუშაობა და ურჩევს ყველა გზების მოსამსახურეთ გავლენა მოახდინონ თავიანთ სუსტი ხასიათის ამხანაგებზე, რათა ერთი დღითაც არ შეწყდეს გზების მოძრაობა. დასასრულ საგანგებო კომიტეტი აცხადებს, რომ დროებითი მთავრობა დააკმაყოფილებს მოსამსახურეთა ეკონომიურ მოთხოვნილებას, რამდენადაც ამის ნებას მისცემს მას ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა.

ამავე საგნის შესახებ ყველა ქალაქურ სარევოლუციო ორგანიზაციების მიერ ხელმოწერილი მოწოდება გამოვიდა. ორგანიზაციები ბეჯითად ურჩევენ რკინის გზების მოსამსახურეთ არ გაებნენ ბადეში, არ აჰყვენ ქვეყნის მოღალატე პროვოკატორებს, არ დაიწყონ გაფიცვა და არ დაასამარონ რევოლუციის მიერ მოპოვებული თავისუფლება.

პირდაპირი მავთულით თბილისში ცნობა მოვიდა, რომ როსტოვში ამჟამად საერთო თათბირი ჰქონიათ კავკასიის რკინის გზის მთავარ კომიტეტს და ადგილობრივ კომიტეტების რწმუნებულებს, თათბირს, სხვათა შორის, მიუღია თბილისის სარევოლუციო ცენტრების წერილი შესახებ გაფიცვის მავნებლობისა, პირდაპირი მავთულით ამასთანავე იტყობინებიან, რომ გაფიცვის საერთო გეგმის მიხედვით, ფრონტის მახლობელი გზები არ გაიფიცებიან და გაატარებენ სალდათების მატარებლებს, და სამხედრო და სასურსათო საქონელს.

## თბილისის მუშათა მილიცია

(წესდების და ორგანიზაციის პროექტი).

1. რევოლიუციონური მუშათა მილიცია არსდება თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან თბილისის რევოლიუციონურ მუშებისაგან.

2. რევოლიუციონურ მუშათა მილიციის მოწყობის მიზანია რევოლიუციონურ ჯარისკაცებთან ერთად რევოლიუციის დაცვა და კონრტ-რევოლიუციასთან სასტიკი ბრძოლა.

3. რევოლიუციონურ მილიციის ტეხნიკურათ მოწყობა ევალება საზოგადოებრივ უშიშროების კომისიას იმ პირობით, რომ კომისიის მოქმედებას კონტროლი უნდა გაუწიოს და თვალყური ადევნოს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

4. საზოგადოებრივ უშიშროების კომისია სოციალისტურ პარტიებისა და მუშათა პროფესიონალურ და რევოლიუციურ ორგანიზაციების დახმარებით აწყობს რაიონულ სამილიციო კომისიებს.

**შენიშვნა:** სოციალისტ-რევოლიუციონერები და სოციალ-დემოკრატები განურჩევლად ფრაქციისა.

5. რაიონულ კომისიებს ევალებათ: ა) მილიციონერთა სიის შედგენა; ბ) მილიციონერთა საზოგადო კრების მოწვევა; გ) დანაწილება ათეულებათ, ასეულებათ და სხ.; დ) იარაღის განაწილება მილიციონერთა შორის; ე) მილიციონერთა სწავლების ხელმძღვანელობა; ვ) რაიონის ინსტრუქტორთა გამოძებნა და ზ) მილიციონერების თვალყურის დევნება.

**შენიშვნა:** მილიციონერთა სიის საბოლოო განხილვა და დამტკიცება საზოგადოებრივ უშიშროების კომისიის უფლებას შეადგენს.

6. რევოლიუციონურ მუშათა მილიციაში მიიღება ყველა მუშები, ვინც კლასიური და ინტერნაციონალური თვალსაზრისს ადგია.

7. მილიციონერთა შესაფერ სიის წარუდგენა დამტკიცების შემდეგ საზოგადოებრივ უშიშროების კომისია აძლევს საჭირო იარაღს რაიონის საორგანიზაციო კომისიას მის პასუხისმგებლობისა და ხელის მოწერის ქვეშ.

8. იარაღის მთლიანობასა და შენახვაში პასუხს აგებენ: ა) თვითონ მილიციონერი; ბ) ათეული, რომელშიაც იგი ირიცხება და გ) რაიონის საორგანიზაციო კომისია. ერთის მოქმედებაში ყველანი აგებენ პასუხს.

**შენიშვნა:** იარაღის დაკარგვისათვის მილიციონერს სასტიკ პასუხს მოსთხოვენ, შესაძლებელია სამუშაოდან გააძევონ და პასუხის გებაში მისცენ.

9. რევოლიუციონურ მუშათა მილიციის ყველა წევრი ვალდებულია დაიცვას სასტიკი რევოლიუციონური დისციპლინა. ცალკე მილიციონერთა ან ჯგუფთა თავის ნებით სამოქმედოთ გამოსვლა არ შეიძლება; იარაღით ხელში მილიციონერს შეუძლია ქუჩაში გამოსვლა მხოლოდ სამოქმედოთ გამოსვლისა და მაცადინობის დროს. თავის ნებით პატრონების დახარჯვა აკრძალულია.

10. რევოლიუციონურ მუშათა მილიციის ყველა გამოსვლები ხდება მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ბრძანებით.

**შენიშვნა:** გამოსვლებათ ჩაითვლება შეიარაღებული და მშვიდობიანი დემონსტრაციები და საერთო ალლუმები.

11. რევოლიუციონური მუშათა ორგანიზაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ მებრძოლ ორგანიზაციას, რომელიც ემორჩილება სავსებით მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

12. რევოლიუციონურ მუშათა მილიციაში სამსახური სურვილითაა და უფასოა.

13. რევოლიუციონურ მუშათა მილიციის დაშლა ხდება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დადგენილებით.

14. სალიკვიდაციო გეგმა სისრულეში მოყავს საზოგადოებრივ უშიშროების კომისიას რაიონის საორგანიზაციო კომისიების დახმარებით.

საზოგადოებრივ უშიშროების კომისია.

## „საქართველოს“ ფონდისათვის

გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორმა თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარისაგან 3000 მანათი მიიღო შემდეგის უწყებით: მ. ხ.! რადგან თქვენის გაზეთის დღევანდელი მიმართულება აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ მისი ამ გზით მსვლელობა ფრიად სასარგებლოა ეროვნულ საქმისათვის, თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობამ დაადგინა გადასცეს **გაზეთის ფონდს სამასი თუმანი (3000 მ.),** რასაც ამასთანავე გაახლებთ.

საზოგადოების თავმჯდომარე

**განდეგილი.**

22 ენკენისთვე, 1917 წ.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ღრმას მადლობას სწირავს ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობას და მის თავმჯდომარეს ქ-ნ განდეგილს.

## ქალაქის წარმომადგენელთა თათბირი

### პრეზიდიუმის არჩევნები

ენკენისთვის 21, ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიხსნა კავკასიის ქალაქთა წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობაზე მოწვეული იყვნენ კავკასიის ყველა ქალაქის წარმომადგენელნი, სულ-კი ყრილობაზე მონაწილეობა უნდა მიეღოთ 44 წარმომადგენელთ. ამას გარდა ყრილობაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ ქალაქთა კავშირის წარმომადგენლებსაც. მაგრამ „დამოუკიდებელ“ მიზეზების გამო ყრილობაზე მისალებად გამოცხადდა მხოლოდ 16 ქალაქის წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლები უმთავრესად საქართველოს ქალაქებიდან არიან ჩამოსულნი და მეორე ის, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან არც ერთი წარმომადგენელი არ სჩანდა. რაც შეეხება ქალაქთა კავშირს, მხოლოდ 2 წარმომადგენელი მოვიდა და ისიც ადგილობრივი კავშირის განყოფილებიდან.

ვინაიდან ზოგიერთი ორატორნი ამტკიცებდენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენელთ არ სურთ მონაწილეობის მიღება თბილისის ყრილობაზე, თავისთავად აღიძრა საკითხი—ჩაითვალოს ყრილობა ამიერ-კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლის ყრილობად თუ წარმომადგენელთა მცირე რიცხვის გამო სულ გადაიდოს.

ვინაიდან ყრილობის ცდა ერთხელ გადადებულ იქნა, ხელმეორედ მისი გადადება შეუძლებლად სცნეს. სამაგიეროდ ყრილობას უწოდეს „ქალაქთა წარმომადგენელთა კერძო თათბირი, რომლის დადგენილებანი ყველა ქალაქისთვის სავალდებულო არ იქნება“. აგრეთვე დადგენილ იქმნა, რომ კავკასიის ქალაქთა წარმომადგენელთა საერთო ყრილობა აუცილებლივ მოწვეულ იქმნას თბილისში არა უგვიანეს ოქტომბრის დამლევისა.

ამის შემდეგ არჩეულ იქმნა ამ კერძო თათბირის პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ დასახელებულ იქმნა ქალაქის თავი **ნ. ელიავა,** მაგრამ მან დროის უქონლობის გამო უარი განაცხადა. მეორე კანდიდატად დასახელებულ იქმნა ქუთაისის წარმომადგენელი **კალანდარიშვილი,** მის ამხანაგად **ს. რობაქიძე,** მდივნებად კი **ვ. ხახანაშვილი და ნინო ჟორდანია.** თათბირმა ყველა ეს კანდიდატი დაამტკიცა.

დამტკიცებულ იქმნა აგრეთვე თათბირის ძველი წესი—რამოდენიმე მუხლის ჩამატებით, როგორც მაგალითად, „ქალაქთა როლი მომავალ დემობილიზაციის დროს“.

შემდეგ **ბ-ნი გეპშტეინი** ვრცელს მოხსენებას კითხულობს **ქალაქთა თვითმართველობის უფლებებზე.** მომხსენებლის სიტყვით ის ახალი წესდება ქალაქთა თვითმართველობის უფლებათა შესახებ, რომელიც შეიმუშავა დროებითმა მთავრობამ, ერთი შეხედვით ძლიერ დემოკრატიული სჩანს. თითქმის დასავლეთ ევროპის ეგრედ წოდებულ ინგლისურსა და გერმანულ ქალაქთა უფლებას წესდებასაც სჯობს დემოკრატიზმით, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. საქმით კი ის ნაცნობი ადმინისტრატიული ბზებია, რომელნიც ძველი მთავრობის დროს ასე მძიმე ტვირთად აწვა ჩვენს ქალაქებს. მომხსენებელს ამის დასამტკიცებლად მრავალი მაგალითი მოჰყავს. მისი აზრით, ქალაქებში უნდა ... რევოლიუციით და ცხოვრებაში უნდა გაატარონ შემდეგი მუხლები:

1) ქალაქთა თვითმართველობა ყოველივე უფლებებით უნდა იყოს შემოსილი თავის საზღვრებში. ყველა ადგილობრივი საკითხები მას ხელქვეით უნდა იყოს გადატანილი.

2) ამისთვის კი აუცილებელია თავიდან მოშორებულ იქმნას ცენტრის აპეკა და მთავრობის მიერ დაყენებული მოხელეები ქალაქის გამგეობამ მთლად გამოსცვალოს.

3) ქალაქის თვითმართველობის დადგენილებანი არ უნდა ჰსაჭიროებდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის დასტურს, ვინაიდან ეს ცენტრის აპეკის მომასწავებელია.

4) ქალაქის საბჭო უნდა იყოს კანონ-მდებლობითი ორგანო ხოლო ქალაქის გამგეობა კი აღმასრულებელი ძალა.

5) თუ ქალაქის საბჭოს დადგენილებით უკმაყოფილო იქნება მცხოვრებლებთა ნაწილი, მაშინ მოხდეს მთელი მცხოვრებლების დაკითხვა—(რეფერენდუმი).

6) მილიცია უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის გამგეობას.

მოხსენებას დიდი კამათი არ გამოუწვევია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ათამელოვის შენიშვნებს, რომელიც ამტკიცებდა, რომ რევოლიუციის დროს არავითარი უფლება არ არის და არც შეიძლება ესა თუ ის წესდება შევიმუშაოთო. წესდების შედგენა მხოლოდ დამფუძნებელ კრებას ეკუთვნისო.

უმრავლესობამ ეს აზრი არ გაიზიარა და ბ-ნ გეპშტეინის მუხლები მიღებულ იქნა.

**მ. ხარიბეგი.**

## ბინის ახალი კანონი*)

29) მე-27 და მე-28 მუხლი უავეჯო გაქირავებულ ოთახებს არ შეეხება. ასეთ ოთახების ქირა 1—25 მუხლების თანახმად უნდა გადაწყდეს. ამასთან მოსამსახურის გაძევება მე-7 და მე-8 მუხლის თანახმად უნდა ანაზღაურდეს.

30) ქირის ხელშეკრულობის გაგრძელების გამო ოთახების, დასაძინებელ ადგილების და კუთხეების დასაქირავებლად, გათბობა და პლიტით სარგებლობა არ უნდა მოესპოთ იმ შემთხვევაში, თუ წინანდელ ხელშეკრულობის მიხედვით, ყველა ზემოხსენებულით სარგებლობდნენ.

31) მე-19 და მე-20-ე მუხლში ნაჩვენები განცხადებათა ვადა თვიურად დაქირავების დროს ისაზღვრება ერთი კვირით, ხოლო კვირეულად თუ რამდენიმე დღით დაქირავების დროს—ერთი დღით.

32) თუ ბინის მოქირავემ მთელ ბინის ერთიანად თუ ცალკე სხვის ხელში გადაცემა განიზრახა, ეს ერთ და იმავე დროს უნდა აცნობოს, როგორც ბინის პატრონს, ისე თავის მოქირავენეს. ახალ მოქირავნეთ ბინის ახალ ვადით დაქირავების უფლება ეძლევათ, მხოლოდ ეს მათ ვადის გასვლამდე უნდა აცნობონ ბინის პატრონს. რამდენიმე მოქირავნეთ შორის უპირატესობა მეტი ქირის გამღებს ეძლევა, ხოლო თუ თანაბარად იხდიან ქირას —პირველად დასახლებულ მდგმურს; ასეთივე უფლება ეძლევათ მოქირავნესგან ბინის დამქირავებელთ. მოქირავნეს ქირის გადაუხდელობის გამო დათხოვნისას დაცლილ ბინის დაქირავების მსურველმა მეორე მდგმურმა პირველის გადაუხდელი ქირა უნდა გადაიხადოს, იმ უფლების შერჩენით, რომ დათხოვნილ მდგმურს შემდეგში მაინც გადაახდევინოს ფული. იმ შემთხვევაში თუ ოთახები მოქირავნესაგან ერთიერთ ოთახის დამჭერის ხელში გადავიდა—მის ხელშივე გადავა პირველ მოქირავნეს მოვალეობა. სხვა ოთახების, კუთხეთა და დასაძინებელ ადგილების დამქირავებელთა მიმართ. ოთახების პატრონს უფლება აქვს მოქირავნისგან დაცლილი ოთახები სხვა მოქირავნეს არ დაუტოვოს იმ შემთხვევაში, თუ დანარჩენ ოთახების, დასაძინებელ ადგილების, და კუთხეების მოქირავნეთა მიმართ სხვ დასხვა მოვალეობას იკისრებს.

33) ამ დადგენილების მოქმედებაში შესვლამდე დაწერილი ხელშეკრულებანი შიგ აღნიშნულ ვადამდე დარჩებიან მოქმედებაში მხოლოდ 1) აღნიშნულ ვადის შემდეგ ქირას ამ დადგენილების თანახმად უნდა იხდიდნენ; 2) ის ხელშეკრულებანი, რომელნიც 1916 წ. 27 მარიამობისთვის დადგენილების მოქმედებაში შესვლის შემდეგ დაიწერა—უნდა სრულდებოდეს იმდენად, რამდენადაც იგი ხსენებულ დადგენილებას შეეფარდება; 3) მე-22, მუხლი აღნიშნული წლიური ვადა ამ დადგენილების გამოცხადების დღიდან ითვლება; 4) ოთახების პატრონებმა, სამი წლის ვადით ხელშეკრულების თანახმად, გათბობით შიგ რაცხულ ოთახების დამჭერთ, გათბობის ფასი. ამ დადგენილების, მე-3—მე-17 მუხლების ძალით, თავიანთ მოთხოვნილებების თანახმად უნდა გადაახდევინონ, თუნდაც ასეთ ხელშეკრულების ვადა არ გათავებულიყოს.

34) აკრძალულია დამატებით ფასის გამორთმევა ქირის ხელშეკრულობის მეორე მოქირავნეს ხელში გადაცემის დროს, აგრეთვე ხელშეკრულების გადაცემა ავეჯისა თუ სარგებლობის შესაძენად.

35) ბინის პატრონმა მდგმურის მიერ ქირის დაგვიანება ხელშეკრულების დარღვევის საბაბად არ უნდა გამოიყენოს, თუ მოქირავნე ბინის პატრონის წერილობით განცხადების დღიდან ერთ კვირის განმავლობაში გადაიხდის ქირას. იმ შემთხვევაში, თუ ბინის პატრონი ამ საქმეს გაასაჩივრებს, მოქირავნემ საქმის პირველ გარჩევამდის კი უნდა გადაიხადოს ქირა—თუნდაც ხელშეკრულობით ქირის გადახდის მეორე დროც იყოს.

36) იმ შემთხვევაში, თუ ბინის პატრონმა და მოქირავნემ ქირის შესახებ გააჩაღეს ჩხუბი და ამის გამო მოქირავნემ ქირის გადახდა დააგვიანა, ეს ბინის პატრონმა ხელშეკრულების დასარღვევად არ გამოიყენოს, იმ შემთხვევაში თუ მოქირავნემ ბინის პატრონს, ანდა სასამართლოს ხელშეკრულებით გადაწყვეტილი ქირა სრულიად გადასცა.

37) ქალაქთა საბჭოებს უფლება ეძლევათ დაარსონ საბინაო შემრიგებელი კამერები თავმჯდომარისა და ოთხწევრისაგან (თანაბრად სახლისპატრონთა და მოქირავნეთაგან) ხსენებულ თავმჯდომარეს ქალაქის თავი უნდა ირჩევდეს. შემრიგებელ კამერების წევრთა არჩევნების წესს ქალაქთა საბჭოები შეიმუშავებენ. მათ შეუძლიანთ არჩევნები მიანდონ—როგორც სარაიონო სათათბიროებს, ისე მოქირავნეთა და სახლისპატრონთა ადგილობრივ ორგანიზაციებს. შემრიგებელ კამერების თავმჯდომარეთა და წევრთა გასამრჯელოს დანიშვნა ქალაქთა საბჭოების საქმეა.

38) საბინაო შემრიგებელ კამერებს ევალებათ 1) თვალყურის დევნა ამ დადგენილების დაურღვევლობაზე და მის დამრღვეველთა პასუხის მგებლობაში მიცე-

*) იხ. „საქართველო“ № 208.

მა; 2) ბინის პატრონთა და მოქირავენთა ქირის შესახებ ჩივილის განხილვა; 3) [illegible]

39) მე-38 მუხლში აღნიშნულ საქმეების განხილვის [illegible]

40) [illegible]

41) მე 38-ე მუხლში აღნიშნულ საქმეების [illegible]

42) [illegible]

43) [illegible]

44) [illegible]

45) თუ ბინის პატრონი [illegible] 41—44 მუხლებით [illegible]

46) მე-44 და 45 მუხლების [illegible]

47) [illegible]

48) [illegible] ლება აქვს მოჰკითხოს ბინის პატრონს და მოქირავეს ცნობები გასაქირავებელ ოთახების შესახებ. ბიუროს თავის რწმუნებულ პირის საშუალებით სადგომების დათვალიერების უფლებაცა აქვს. დაჭერილ ოთახების დათვალიერება მხოლოდ შიგ მცხოვრებთა ნებართვით შეიძლება.

49) მსურველთ შეუძლიანთ, როგორც შემარიგებელ კამერებიდან ისე სარეგისტრაციო ბიუროდან ქალაქის საბჭოს მიერ დაწესებულ ქირის შესახებ ცნობების მიღება.

50) შემარიგებელ საბინაო კამერების და სარეგისტრაციო ბიუროთა ხარჯები ქალაქთა საზოგადო მმართველობით უნდა გადიხადონ.

51) შემარიგებელ კამერების და სარეგისტრაციო ბიუროთა გარდა ქალაქის საბჭოს უფლება აქვს დაარსოს საგანგებო თანამდებობა ოთახების ნაზრუნველისა. მას ეკისრება მე 38 მუხლის პირველ პუნქტის ასრულება. [illegible]

52) ამ დადგენილების გამოცხადების [illegible]

53) [illegible]

54) ამ დადგენილების მე-17, მე-18 და მე-30, მუხლების [illegible]

55) [illegible] 1917 წ. მაისის 4-ის [illegible]

56) [illegible]

57) [illegible]

58) [illegible]

59) მე 56-ე—მე 5-ე მუხლები [illegible]

60) ეს დადგენილება [illegible] 1916 წ. 27 [illegible]

61) [illegible]

62) ამ დადგენილების მე 19—23 მუხლებში [illegible]

63) ეს დადგენილება (მე 52—59 მუხ.) [illegible] როებს და ავეჯით მოწყობილ ოთახებს იმ შემთხვევაში თუ ერთი და იგივე სასტუმროს პატრონი ერთ და იმავე შენობაში 10-ზე მეტ ოთახს აქირავებს. ზემოხსენებულ ბინების ქირა ქალაქის გამგეობამ ან და რწმუნებულთა კრებულმა უნდა დაადგინოს. იქ სადაც ქალაქის გამგეობა არ არსებობს—ქირა 1—25 მუხლების თანახმად უნდა გადსწყდეს.

64) ამ დადგენილების წესების შეცვლა სხვა და სხვა გვარ ნორიგებით არ შეიძლება.

65) მინისტრ თავმჯდომარეს მინდობილი აქვს მე 56 ე მუხლის და 57-ე მუხლის პირველ ნაწილის მოქმედებაში შეყვანა ტელეგრაფით მოახდინოს, რომ მე 57 მუხლის პირველ ნაწილში ნაჩვენები თვეური ვადა ამ დადგენილების ნამდვილ გამოქვეყნების დღიდან ითვლებოდეს.

66) ეს დადგენილება 1919 წ. მარიამობისთვის 1-დის იქნება მოქმედებაში.

ხელს აწერენ: მინისტრთა თავმჯდომარე **ა. კერენსკი** და იუსტიციის მინისტრი **ზარუდნი.**

1917 წ. მარიამობისთვის 5.

## ღია წერილი ყოფილ ეკსარხოს პლატონს

მეტად შორს წახვედით, თქვენო მეუფებავ, ივერიის ეკლესიის სამართლიან და კანონიერ უფლებათა დარღვევაში! ჩვენ, მართლმადიდებელი მორწმუნენი, ჩვეულებრივ გავიგონეთ მწყემსმთავრისაგან სიყვარულისა და სიმართლის სიტყვა, მაგრამ ამას ამბობთ ქართულ ეკლესიაზე? თქვენ ბრალსა სდებთ ქართულ ეკლესიას თითომც ძალით ჩაიგდეს ავტოკეფალია, მოითხოვეთ, რომ ქართველმა იერარქებმა მოითხოვონ იგი რუსეთის საეკლესიო კრებისაგან, ეს იმ კრებისაგან, რომელიც იკრიბება ცრუ სინოდის მიერ. არა ქართველები მოვიდნენ რუსეთში რათა რუსულ ეკლესიისთვის წაერთმიათ ავტოკეფალობა, არამედ რუსული ანტიკანონიური საეკლესიო მთავრობა მივიდა საქართველოში და მის სამოციქულო ეკლესიაში ხელი მიჰყო თავის საკუთრებელთა აგებას.

უზურპატორ-ეგზარხოსის ჩამოგდებით ქართველებმა აღადგინეს თავიანთ ეკლესიის უფლება. თქვენო მეუფებავ, თქვენ სჩივით, რომ თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ „ძალით ჩაიგდო“ ეგზარხოსის სახლი, მაგრამ ეს სახლი ხომ, როგორც სინოდალური კონტორა, **ივერიის ეკლესიის საკუთრებას** შეადგენს, ესენი ააშენეს ქართულ საეკლესიო ფულით და მხოლოდ ძალადობის უფლებით ეკუთვნის რუს ეგზარხოსებს. განა უკეთესი არ იქნებოდა, რომ თქვენი გრიგორი ბნელისათვის, რომელმაც ქართველი მღვდელმსახურნი გამოლალა ბოლნის სავანიდან, გებრძანებინათ ასე არ მოქცეულიყო, ან და რუსის საზოგადოებისთვის გეუწყებინათ ეს ამბავი, თუ იგივე გრიგორი ბნელი როგორ სდევნის ქართველ მსახურთ ქართველთავე ეკლესიებიდან? მაგრამ უწყოდეთ, რომ ქართველნი დაიბრუნებენ თავიანთ სიწმიდეთ, ვინაიდან **მათ მხარეზეა უფლება**, ხოლო თქვენს მხარეზე, რა თქმა უნდა, დარჩება ერთად-ერთი ფლანგი **ძალა.** ამ მხრივ ამ ძალით სარგებლობენ რუსი ათეისტები და არა ქართველები.

თქვენი სურვილია დაიმორჩილოთ ოსები და აფხაზები, რათა ესენი გამოჰყოთ ქართველებიდან, მაგრამ თქვენი სურვილი უძლურია, ვინაიდან ისინი იყვნენ და დარჩნენ კიდეც ივერიის ეკლესიის საყვარელ შვილებად. ესევე მოხდება ბერძენთათვის, რომელნიც 15 საუკუნის განმავლობაში ქართველებთან ერთად სცხოვრობდნენ და იცხოვრებენ კიდეც, ვინაიდან საქართველოს ეკლესია აღუთქვამს მათ ახალის საეპისკოპოსოს აღდგენას და მიანიჭებს მათ საკუთარის მწყემსმთავრის ყოლის უფლებას.

ახლა იკითხეთ, მეუფეო, შეუძლიან თუ არა შენმან სამწყსომ ჩაგთვალოს მართლმადიდებელ მწყემსმთავრად მას შემდეგ, რაც უკუღმართ გზას დაადექით და ანტიქრისტიანულს ქადაგებას შეუდექით ქართველთა მოსაძულებლად? ამის შემდეგ პირადად მე ნოკლებული ვარ ვითხოვო თქვენგან მამაშვილური ლოცვა-კურთხევა, ვინაიდან მართლმადიდებელ იერარქად მე ვეღარ ჩაგთვლით!..

**ნ. დურნოვო.**

(„პეტროგრ. ვედ.“).

## ქართველი გლეხ-კაცი

(საუბარი)

ქალაქის მუშისთვის აღიარებული რვა საათის სამუშაო დღე, როგორც ჩვენ ვიცით, დღევანდელ პირობებში არ გამოდგება სოფლის მუშისთვის.

ვინც სოფლის მუშაობას ადევნებს თვალს, ის დაგვეთანხმება, რომ სხვა საზომით განისაზღვრება. ასე, მაგალითად, ზამთარში რვა საათზედაც კი ნაკლებს მუშაობს ნაშრომული კაცი სამაგიეროთ ზაფხულში ლამის სამჯერ რვა საათი იმუშაოს ე. ი. თითქმის დღე და ღამე.

ვიანგარიშოთ თუ არ გჯერათ: უნდა ვიცოდეთ, რომ ზაფხულობით მათი სამუშაო დღე იწყება ორ საათზე, შუაღამისას, როდესაც კალოს პატრონი ბულულზე მიდის ბულულის მოსატანად. (ზოგი მარტო ხელი შუაღამის პირველ საათზე იწყობს ბულულის მოტანას). ორ გზას მოიტანს და აი დილის 7 რვა საათი გახდება. მარჯვე კაცს ამ დროისთვის კალო უბია და კევრებს დაარბევინებენ (კიდევ კარგი თუ დაარბევინებენ თორემ ბევრს რომელსაც ცხენები არა ჰყავს და ხარებიც ცოტა და მოღალული ჰყავს იმის კალოზე კევრები ან კევრი საცოდავად დადიოდავს და ეს ფიცარი ქვეშ ქვებით გამოჭედილი ანუ დაკოხილი, როგორც სოფლად იხმარება, ძალიან მძიმეა და ნელა სჭრის და ლეწავს ყანას თუ ქერს).

რვა საათზე შებმული ორ საათზე გაილეწება დაახლოვებით (კარგი დარი მაქვს მხედველობაში). ამ ხნის განმავლობაში კალოზე მომუშავეებმა სამჯერ-ოთხჯერ ორთითით უნდა უქციონ (გადააბრუნონ) და ორჯელ-სამჯერ ფიწლით (იმის და მიხედვით თუ კალოში ყანა უშლია თუ ქერი. პირველი უფრო ძნელად ილეწება). ორი საათზე, რომ გაილეწა კალო, ორი საათი შეგვა-შეხვეტას უნდა. ოთხი საათიდან 7—რვა საათამდე განიავებას, დაცხავებას, გზის საბძელში შეზიდვას და ქირნახულის ორმოში ჩაყრას უნდა. ამის შემდეგ ერთი ურემი ბულულიც საღამოთი უნდა მოიტანოს, რომ ხვალის საქმე წინ წაიგდოს და აი გახდა ღამის 9 ათი საათი. ამნაირად შუაღამის ორ საათიდან ღამის ათამდე მუშაობა შეადგენს 20 საათს.

ზოგიერთ ქალაქის მცხოვრებს ჰგონია, რომ პური, ასე მზა-მზარეული მოდის, ყოველ შემთხვევაში, ხეს აბია და მოკრეფის მეტი არა უნდა რა. ნამდვილათ კი სანამ სუფთა ხორბალ პურს მიიღებდეთ უნდა მოხნათ, ჩააკაოთ, დათესოთ, დაფარცხოთ, ჯეჯილს ყური უგდოთ, თუ სარწყავი მიწაა—ხშული მორწყათ, ახლა მოთიბე, ან მომკე, დააბულულე ან ძნათ შეჰკარი და მერე კიდევ კალოზედ რაც ორომტრიალი და გასაჭირია ხომ ზევით აღვწერე.

ახლა იკითხავთ, ალბად, თუ ამდენს რომ შრომობს და მუშაობს, რასა სჭამს, როგორა საზრდოობს ან როგორ აცვია და ახურიაო, არა? ქართველი გლეხი ძალიან იშვიათად სჭამს ხორცს. საშობაოდ შეიძლება ღორი გაიმეტოს და დაჰკლას, სააღდგომოდ ქათამი და ქორწილში ან ქელეხში თუ მოხვდა, იქ შესჭამს ძროხის ხორცს. დანარჩენ დროს, წლის განმავლობაში უფრო ხშირად ცარიელ მშრალ პურზეა. ზოგს ეს პურის დოვლათიც გაზაფხულზე შემოაკლდება ხოლმე და მარტიდან მკათათვემდე გუდა ნაბადით სესხულობს მას (და არა მათხოვრობს, ვინაიდან თხოვნა ამაყ ქართლის გლეხს არა აქვს ჩვეულებათ), რომელსაც მუშა ჰყავთ სიმინდის თოხნაში, მკაში ან ყურძნის ცვრაში, მაშინ მახოხი, თხლის შეჭამანდი, დო, ხანდისხან მაწონი თუ მწველელები ბლომადა ჰყავთ, ლობიო და შიგა და შიგ, ხილათ კარტოფი და ლოლოს შეჭამანდი.

ჩაცმით კაცები რუსულ დაგლეჯილ ფარაჯებში არიან გახვეულნი, რომლის ქვეშ ჰუჰყიანი ძველი დაკონკილი ახალუხ პერანგი და შარვალი აცვიათ. ქალებიც არა ნაკლებ დაკონკილ ჩითის კაბებში არიან. კაცებს თუ ფეხზე ქალამანი მაინც აცვიათ რაკი ტყეში და გარეთ უხდებათ მუშაობა, დედაკაცებს ფეხშიშველა უხდებათ სიარული. ეს მარტო ეხლა კი არა, ამ სიძვირის გამო, არა, მათთვის იაფობის დროსაც ძვირი იყო ფეხსაცმელი. სოფლის გლეხი კაცი თუ ქალი რამოდენადმე რიგიანად სტუმრად წასვლის დროს თუ ჩაიცვამს, თორემ ისე საშინაოდ, ხშირად, მომეტებულს ისე აცვიათ, რომ რომელიმე მათგანმა ქალაქ ელაგის გაიაროს, მათხოვარი ეგონებათ.

ეს ჭამა სმა. ახლა მათი ჰიგიენური ცხოვრება? მეტის-მეტად ანტი-სანიტარულ პირობებში ცხოვრობენ საცოდავები. მომეტებულნი საქონელთან სცხოვრობენ ბოსლებში. თავსა და მეტადრე ტანსა ზაფხულში თუ დაიბანენ მდინარეში, თორემ ცხრა თვე მათ ტანს ცხელი წყალი არ გადაევლება.

ყველა ამას უცქერი და გული ბოღმით გევსება და ფიქრობ თუ როდის იქნება, რომ სოფლებშიაც ან კერძო პირმა გააკეთოს აბანო ან სასოფლოთ გააკეთონ. როდის იქნება, რომ სათესი, სახნავი, სამკალი, სალეწი, სანიავო და სხვა სამეურნეო მანქანები შევლენ ჩვენს სოფლებში რომ პირვანდელი დამუშავება მოისპოს, ნაკლები ენერგია დაეხარჯოს ადამიანს და ნაყოფიც მეტი მოიტანოს? განა როდისმე გათენდება ჩვენს გლეხს?—ალბად „რვა საათის სამუშაო დღის“ შემოღება-თუ იხსნის, არა? ოდესღაც... დავეწიროთ!..

**მ. იაშვილი.**

## კორესპონდენცია

### ახალციხიდან

**ახალციხე.** მარიამობისთვის 31 აქ ბ. ირაკლი ამირეჯიბმა, ადგილობრივ ეროვნულ დემოკრატების კომიტეტის თაოსნობით წაიკითხა ფრიად საგულისხმიერო ლექცია „მიწის საკითხი საქართველოში“. ლექტორის ზეპირად და დალაგებით დინჯი ლაპარაკი სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა მსმენელებზე. ლექციის შემდეგ გაიმართა კამათი, კამათში მონაწილეობა მიიღო ორმა დასელმა, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მათ აქლდათ საკმაო ცოდნა ჩვენის ცხოვრებისა და მეურნეობისა და აგრეთვე თითქოს უცოდინარობა მოწინააღმდეგე პარტიის პროგრამისა. ლექტორმა ორთავეს შესაფერი პასუხი გასცა და მადლიერმა დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა მომხსენებელი.

მადლობის ღირსია ბ. ირაკლი ამირეჯიბი ამისთანა შინაარსიან ლექციისათვის ახალციხეში სადაც ამისთანა რამ ძალიან იშვიათი ხილია.

—

ქალაქის არჩევნებისათვის ეხლა ჰფიქრობენ. ალწერა დამთავრებულია, მხოლოდ რიცხვი არჩევნების დღისა ჯერედ გამორკვეული არ არის. არჩევნებში მონაწილეობას იღებს ოთხი პარტია ვგონებ. ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები და დაშნაკელები. სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ორგანიზაცია არ არის, როგორც გადმომცეს. სოციალისტ-რევოლუციონერები კი რასაკვირველია იმ ჯარს ემყარებიან, რომელიც ახალციხეში სდგას. მათი რიცხვი 5 ათასს უდრის. ამომრჩეველთა ადგილობრივ მცხოვრებთა კი 6 ათასს. აქედან ათასზე მეტი, და ბლოვებით ათას ხუთასი ქართველი მართლმადიდებელი და კათოლიკე იქნება, 120 კომლი ქართველი ისრაელიანი და ქართველი მაჰმადიანები [illegible] უმრავლესობას ხომხები შეადგენენ.

**ქ. ნ.**

რედაქტორი **ხრისტო მეშველი.**

## კალენდარი

### შაბათი ენკენისთვის

### 23

| | |
|---|---|
| **ქართვ.** | მუცლადღება პატიოსნისა და დიდებულისა წმ. ნათლ. სმცემლისა იოანესი. |
| **კათოლ.** | ლინასი და თეკლესი. |
| **სომეხ.** | დღესასწაული ჯვრისა. |
| **მაჰმად.** | შაბზე 19 რიც ზულჰიჯა 1335 წ. ჰიჯრისა. |
| **ებრაელ.** | შაბათ 20 რ. თიშრისა 5678 წ. ქვ. შექმ. |

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

### მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ბათუმისაკენ** | სამგ. № 5, | 11.32 | დილ. |
| „ | საშგზ. № 9, | 11.28 | საღ. |
| **მინერ.-წყლისაკენ** | საშგზ. № 19, | 8.17 | დილ. |
| „ | „ № 17, | 8.19 | დილ. |
| **ბაქოსაკენ** | ჩქარ. № 6, | 9.51 | დილ. |
| „ | საშგ. № 4, | 8.46 | საღ. |
| **ყარსისაკენ** | საშგზ. № 6-8, | 12.15 | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ბათუმიდან** | საშგზ. № 10, | 8.88 | დილ. |
| „ | საშგ. № 4, | 7.41 | საღ. |
| **მინ.-წყლიდ.** | საშგზ. № 20, | 7.57 | დილ. |
| „ | საშგზ. № 18, | 9.50 | საღ. |
| **ბაქოდან** | საშგ. № 8, | 10.26 | დილ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 10.30 | საღ. |
| **ყარს-ჯულფ.** | საშგ. № 3***, | 7.53 | დილ. |


ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# კომერციულ ცოდნათა

კ უ რ ს ე ბ ი

# ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნების მიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სეკტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—26

# სააფადმყოფო

სამხედრო ინვალიდებისა მოსამსახურე მსახურნეობისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდროვის ბაღის ახლო, ტელეფონი 481.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ყოველდღე 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაძე—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახახიძე—ყელის, ყურის და ცხვირ. —2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალიშვილი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონზე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგიჩაშვილი—ქალთა და სწენებით ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
თოხეულაძე—ქალთა და სწენებით ავად. დღეგამოშვ. ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანიძე—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზიშვილი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
გორთაიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ზაგუდოვსკი—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვი—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—70

1917 წელ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წელ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 2 მანეთი. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი **დ. კვირკველია.**

კ ა ნ ტ ო რ ა

# „ განათლება “

უგზავნის თავის აგენტებს შემდეგ ჟურნალ-გაზეთებს: „საქართველო“, „ერთობას“, „ეშმაკის მათრახს“, „Борьба“-ს, „სახალხო საქმეს“, „ალიონს“, „Кавк. Рабочи“-ს, „ბრძოლას“, „სოფლის მუშას“, „Республика“-ს, „თეატრი და ცხოვრებას“, „ფიქრს“, „კავშირს“ და ყველა ახლად გამოსულ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს.

კანტორაში არის გასაყიდი კანტორის გამოცემა **ნ. რამიშვილის** ცნობილი წიგნი **„ისტორიული მატერიალიზმი“**, ს.-დ. მოღვაწეები საქართველოში, ლეო ქიაჩელის მოთხრობა **„ტარიელ გოლუა“**, პეტროგრადიდან მიღებული სხვა და სხვა ნაირი თანამედროვე დიდძალი ლიტერატურა და ყველა გამოცემა ადგილობრივი ორგანიზაციების ქართულ-რუსული. ნისიათ გაზეთები და წიგნები არავის არ გაეგზავნება. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.




გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“